# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№7 2021 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

**საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ თანხმობის მიცემის შესახებ**

1. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად, თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზას“ (ს/კ: 202886010) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზვარის ტერიტორიაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №36.18.38.047) მდებარე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) „კაკლის ხე“ (Juglans regia L.) – 4 (ოთხი) ინდივიდი;

ბ) „ჩვეულებრივი წაბლი“ (Castanea sativa Mill.) – 33 (ოცდაცამეტი) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს რკინიგზა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოჭრილი მერქნული რესურსი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადასცეს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**